

ქვეყნის  
გთხოვთ დედა  
ქვეყნის



საქართველო  
1974

179  
1964/09

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი  
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ИМ. АКАД. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

კავკასიის ეთნოგრაფიული  
კრებული

I

Кавказский этнографический  
сборник

12040

~~K 12.155~~  
4



განმცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“

თბილისი — 1964 — ТБИЛИСИ

3. ითონოზილი

საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში

(ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

თრუსოს ხეობა მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის რაიონში. ის გადაჭიმულია საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სოფ. კობიდან მდინარე არდონის აუზში გადასასვლელ თრუსოს უღელტეხილამდე. მდინარე თერგის სათავე ამ ხეობიდან, სახელდობრ მყინვარწვერის მარადთოვლიანი მასივებიდან იწყება. თრუსოს ხეობა თავის მხრივ რამდენიმე პატარა ხეობადაა განტოტებული და ოსური სოფლებით დასახლებული. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ყველა ეს ხეობა და სოფელი ყაზბეგის რაიონში შედის და ერთიანდება ორ საბჭოში — კობისა და თრუსოს სასოფლო საბჭოებში. ისტორიულად კი დღევანდელს განეკუთვნებოდა და მის შემადგენელ ერთეულად ითვლებოდა. ეს ვითარება დასტურდება სათანადო წყაროებსა და ლიტერატურაში აღბეჭდილი სანდო ისტორიული ცნობებით.

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით, „ზახის აღმოსავლეთის მთის იქით არს თრუსო, რომელსა აქუს აღმოსავლით მთა, ხოხიდამ და კევის-ყელიდამ ჩამოსული მთანი შთასავალამდე, და მთანი ესენი განჰყოფენ კევსა და თრუსოსა; სამკრით კავკასი, მთიულეთსა, მალრან-დვალეთსა და თრუსოს შორისი; ჩრდილოთ მყინვარი და ხოხის კავკასნი; დასავლით თრუსოსა და ზახას შუათი მთა. და არს თრუსო სამ კეობად. გამოსდის ერთი ზახის მთასა, მეორე მალრან-დვალეთის კავკასსა და მესამე ხოხის კავკასსა“<sup>1</sup>.

დღეს ამ ხეობაში ოსები ცხოვრობენ. მათი აქ დასახლება იწყება ჩრდილო-ოსეთში მონღოლთა ექსპანსიისა და ოს ფეოდალებს შორის გამართული შინაბრძოლის შედეგად. სამშობლოდან აყრილი ოსები კავკასიის მთიანეთში იხიზნებიან და ნელ-ნელა საქართველოს ტერიტორიისაკენ ინაცვლებენ. საამისოდ მათ ხელს უწყობს გადმოსასვლელი გზები და ბილიკები. თრუსოს ხეობაში ძირითადად თრუსოს უღელტეხილის გადმოლახვით შემოდინან. ხეობაში მოხვედრის დად თრუსოს უღელტეხილის გადმოლახვით შემოდინან. ხეობაში მოხვედრის შემდეგ კი კავშირის დამყარება შეიძლება საქართველოს სამხედრო გზასთანაც, იქ სადაც დღეს სოფ. კობი მდებარეობს. თრუსოს ხეობაში თუ საქართველოს სხვა რაიონებში ოსთა ჩამოსახლება-დამკვიდრების პროცესს დ. გვრიტიშვილი შემდეგნაირად წარმოგვისახავს:

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 115.

I. ემიგრირებულ ოსთა დიდი ჯგუფები ეშურებიან ქართველებით დასახლებულ ხეობებს და ამ ტერიტორიაზე კომპაქტურად სახლდებიან; ჩამოსახლების ეს სახე XIII—XIV საუკუნეებში უნდა ყოფილიყო.

II. ესა თუ ის ქართველი თავადი ან მეფე წინასწარი შეთანხმებით ოსთა დიდ ჯგუფებს თავის მიწა-წყალზე ასახლებს. ეს სახე შედარებით მოგვიანო ხანისაა.

III. ეკონომიური პირობებით შევიწროებული ოსი გლეხი იძულებულია ნებით ეყმოს ქართველ თავადებს. ამ სახემ შემდეგში ხიზნობის ხასიათი მიიღო.

საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოდ თრუსოს ხეობაში ფეხმოკიდებული ოსები აქტიურად ებმებიან ბრძოლაში, რომელიც სწარმოებდა ქსნის ერისთავებსა და თავისუფლების მოყვარე დვალეებს შორის. დვალეები ერისთავებს მდგრად ეურჩებიან, თავს ესხმიან საერისთაოს და აოხრებენ, მაგრამ უპირატესობა თანდათანობით ერისთავების ხელში გადადის და სხვა ხეობებთან ერთად ისინი თრუსოს ხეობასაც იმორჩილებენ. ამ მდგომარეობით სარგებლობენ ჩამოსახლებული მცირერიცხოვანი ოსები და XIV საუკუნიდან თრუსოს ხეობაში დამკვიდრებას იწყებენ<sup>2</sup>. ერისთავებისადმი ერთგულების წყალობით ისინი აბორიგენი დვალეების წინააღმდეგობას უძლებენ, ხოლო დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით XVII საუკუნის შემდგომ ეპოქაში ოსები აქ თანდათანობით მატულობენ. მოძღვარებული და ერისთავების მხარდაჭერით ფრთებშესხმული ოსების უპირატესობა მკვიდრ მოსახლეობაზე ბოლოს და ბოლოს აშკარად იჩენს თავს და ამის შედეგად ხდება დვალთა ასიმილაცია.

ოსების ჩამოსახლებისა და დვალთა ვინაობის შესახებ მეცნიერებაში მრავალი შეხედულება არსებობს. მათი გარჩევა ჩვენ არ განგვიზარახავს და მხოლოდ საკითხზე არსებული ძირითადი ლიტერატურის დასახელებით შეიძლება დავკმაყოფილდეთ<sup>3</sup>. მაგრამ არსებული გამოკვლევების მიხედვით ის კი აღარაა საეჭვო, რომ თრუსოს ხეობა ისტორიული დვალეთის ტერიტორიაში შედიოდა, დასახლებული იყო დვალეებით, ხოლო დვალეები იყვნენ იბერიულ-კავკასიური ტომი, რომელმაც მოწიფულ შუასაუკუნეებში ქართიზაცია განიცადა, როგორც ეს დასაბუთებულია ვ. გამრეკელის მონოგრაფიაში<sup>4</sup>.

თრუსოს ხეობის წარსულის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია დღემდე შემონახული მატერიალური კულტურის ძეგლები, ქართულ წარწერიანი ნაგებობანი თუ საფლავის ქვები, ტობონიმიკა და ონომასტიკონი, ხალხური გადმოცემები თუ რელიგიური დღესასწაულები და რწმენა-წარმოდგენები. ყველა ამათზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას იქ დავინახოთ ქართული კულტურის ძველი ელემენტები და ის ისტორიული პროცესი, რომლის შესახებაც ზემოთ იყო ნათქვამი. სახელდობრ, ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ხალხუ-

<sup>2</sup> დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმოხილველი, 1, თბილისი, 1949, გვ. 119.

<sup>3</sup> გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1958, გვ. 117—119.

<sup>4</sup> დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი: გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი; В. Гамрекели. О племени двалов. Мასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბილისი, 1957; В. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тбилиси, 1961.

<sup>5</sup> В. Гамрекели. Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тбилиси, 1961.

რომ გადმოცემების მიხედვითაც ჩანს, რომ აქ დიდ მოძრაობას ჰქონდა ადგილი. რაც გამოიხატებოდა ძველი მოსახლეობის ადგილზე ახალი, მოსული ფეხის დამკვიდრებაში. ამასთან ერთად თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ მოსულთა შორისაც ქართული ფენები ჩანს, რომლებიც დროთა მსვლელობაში გაოსეპულან. რაც შეეხება გადმოცემებს, მათი უმრავლესობა მოსული ოსური მოსახლეობის სიძველეზე არ მიგვივითებს და ძირითადად ამა თუ იმ გვარის აქ დამკვიდრებიდან დღემდე საშუალოდ 4—7 თაობის ათვლა ხერხდება.

ცხოვრობის აშკარა უპირატესობით. მის განვითარებას ხელს უწყობს კარგი საფეხლო საძოვრები და სათიბები. მიწათმოქმედებიდან უმთავრესად კარტოჭერის მოსავალი. მაგრამ მეურნეობის განვითარების შედარებით სხვა სურათს ვხედავთ ძველ ეპოქაში. ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა და ცხვარი ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე გავიდოდა, თრუსოელი გლეხი უფრო ინტენსიურად ეკიდებოდა მიწათმოქმედებას და ყოველ ღონეს ხმარობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა სახნავად ვარგისი მიწის ყოველი მტკაველი. კარტოჭერის მოყვანა გვიან შემოიღეს და მთელი ნათესები ქერსა და ქერსვილას ეკავა, ხოლო მეცხოველეობის ზრდას აპირობებდა სათიბ-საძოვრების მოცულობა-მოსავლიანობა. ოსები ინახავდნენ მხოლოდ იმდენ ძროხას და ცხვარს, რამდენს გამოეყვებასაც ზამთარში შესაძლებდნენ. რომ აქ მართლაც ასე იყო ყიზლარში გასვლამდე და არა სხვაგვარად, ეს დასტურდება ვახუშტის შემდეგი ცნობითაც: „პირუტყვი არიან ცხოვარნი უღუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, გარნა არიან ფრიად გემოიანნი სხვათა ადგილებთაგან უმეტეს. და ვინადგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთვის ვერ ინახვენ ცხოვართა თვნიერ კ, მ, და რ კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი, კ, და მ და უფროსი არღარა“<sup>6</sup>.

თრუსოში არსებული სამეურნეო ვითარების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჭილაშვილი, რომელიც მთის მმართველად მუშაობდა. 1827 წელს ფინანსთა მინისტრის კანკრინის დავალებით მან შეადგინა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების (ხევი, თრუსო, მთიულეთი, გუდამაყარი) სამეურნეო მიმოხილვა. ჭილაშვილის ცნობით, აღნიშნულ კუთხეებში „არ არის ბაღები, თესენ ქერს, მიწებს არ ასვენებენ. მცხოვრებნი ყოველწლიურად ყიდულობენ პურს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში და აგრეთვე ვლადიკავკავს იქით ნაზრანში. სათიბები კარგი და ვრცელი აქვთ. მცხოვრებნი მისდევენ მეცხოვარებას. ზრანში. სათიბები კარგი და ვრცელი აქვთ. მცხოვრებნი მისდევენ მეცხოვარებას. რძისაგან აკეთებენ ყველს, მატყლისაგან ქსოვენ შალს, ტყავისაგან ისხამენ ქალამნებს“<sup>7</sup>.

ასეთ პირობებში მყოფი მთიელის ძირითად საარსებო წყაროდ ავტორი თვლის მექირავნეობას. მისი დაკვირვებით, „მცხოვრებთა არსებობისა და მათგან სახელმწიფო შემოსავლის ერთადერთ წყაროს შეადგენს ამუნიციისა და საჭრო ტრანსპორტის მთებზე გადატანა“<sup>8</sup>.

რაც შეეხება საკუთრივ თრუსოს ხეობას, ჭილაშვილის ცნობით აქ მხოლოდ ქერის მცირედ მოსავალს იღებენ და „ზაფხულ-ზამთარ ინახვენ საქონელს, მა-

<sup>6</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 108.

<sup>7</sup> Акты Кавказской Археографической Комиссии, VII, 83. 349.

<sup>8</sup> Акты... 83. 349.

ტყლისაგან ამზადებენ საკმაოდ კარგ ქეჩას, ყაბალახებს, ნაბდებს და მთის მალს; რძისაგან ყველს, ტყავებისაგან კი — ქურქებს; აკეთებენ ტყავებს, თასებს და სხვ. და ჰყიდიან საქართველოს სამხედრო გზაზე, დუშეთსა და თბილისში<sup>9</sup>.

ჭილაშვილის ზოგიერთი აქ მოტანილი ცნობა საეჭვოა. ძნელი დასაჯერებელია, რომ დასახლებულ კუთხეებში ცხოვრების ერთადერთი საშუალება ყოფილიყო ტვირთზიდვით მიღებული ქირა. ეს იყო მხოლოდ შემოსავლის დამხმარე წყარო, ხოლო ძირითადს წარმოადგენდა მსხვილფეხა მესაქონლეობა იმ დროისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებულ მეცხვარეობასთან და მიწათმოქმედებასთან ერთად.

მისი ცნობებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ 1820—30-იანი წლებისათვის მეცხვარეობა მთაში განვითარების დაბალ დონეზეა, საზამთრო საძოვარზე არ გადის და ბაგურ კვებაზე შენახვის შესაძლებლობითაა განსაზღვრული მისი რაოდენობა. აქ ისეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს დასტურდება თრუსოს მეზობელ ხევში<sup>10</sup>. რაც შეეხება შემდგომ ეპოქას, კერძოდ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, ამ დროიდან მთიელებს საშუალება ეძლევათ გავიდნენ ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებზე და ინტენსიურ მეცხვარეობას მოკიდონ ხელი. აღნიშნული ვითარებისაგან განზე არც თრუსო დარჩენილა და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმავლობის გზაზე შემდგარი მეცხვარეობა დღეს განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზეა ასული.

ისტორიულად და ეთნოგრაფიულად საინტერესო ეს კუთხე შესწავლილი არ არის. 1958 წელს იქ იმუშავა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ. სამწუხაროდ მაშინ შეკრებილი მასალის საფუძველზე დღემდე მხოლოდ ერთი ნაშრომი გამოქვეყნდა<sup>11</sup>. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ნაწილობრივად მაინც შეავსოს ეს ხარვეზი და გამოავლინოს საკვლევი რაიონისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი ნაგებობების თავისებურებანი.

\* \* \*

თრუსოს ხეობაში ძირითადად გაბატონებულია მიწურბანიანი ორსართულიანი და მრავალგანყოფილებიანი საცხოვრებელი ნაგებობანი. ამასთან ერთად გვხვდება სამ-ოთხ სართულიანი ციხე-სახლები და შედარებით იშვიათად ერთსართულიანი ბინებიც. ეს უკანასკნელი უფრო გვიანდელია და უკვე მშვიდობიანი ცხოვრების პირობებთანაა შეგუებული. ორ და მეტ სართულიან სახლებში კი თვალნათლივანაა წარმოდგენილი თავდაცვისათვის საჭირო ელემენტები, რაც ერთსართულიან სახლებში აღარ გვხვდება.

<sup>9</sup> Акты... გვ. 349.

<sup>10</sup> ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხვანათესვა ხევში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 6, თბილისი, 1953; გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამიწათმოქმედო იარაღები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXII, № 1, თბილისი, 1959; მ ი ს ი ვ ე; მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-ბ, თბილისი, 1961.

<sup>11</sup> გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-ბ.



სებით ღიაა. საცხენე თავისთავად მთელი ამ ნაგებობის კომპლექსში შედის. მაგ-  
რამ სახლის ძირითადი კორპუსის შემადგენელ ნაწილს კი არ წარმოადგენს, არა-  
მედ მისი „წინგარდას“ სახურავქვეშაა მოქცეული. წინგარდა თავის მხრივ დამო-  
უკიდებლადაა მიშენებული სახლის გვერდით ფასადზე და მეორე სართულის  
შესასვლელ დერეფანს წარმოადგენს. დერეფანი ეზოსთან დაკავშირებულია  
ქვის კიბით, ხოლო სახლის მეორე სართულთან გვერდით კედელში დატანებუ-  
ლი ოთხკუთხი კარებით.

საცხენედან შესასვლელი გვერდითი კარებით უკავშირდებიან ბოსელს, რო-  
მელიც სამადაა გაყოფილი. პირველი სართულის გეგმაზე 2-ით ნაჩვენები განყო-  
ფილება განკუთვნილია ბერწი საქონლის (ხარი, მოზვერი, დეკეული, ხბო) სად-  
გომად. მისივე მომიჯნავე და ქვის კედლით გატხირული ნაწილი გამოყენებუ-  
ლია მეწველი ძროხებისათვის. მათ შორის კავშირი განხორციელებულია ტი-  
ხარში დატანებული ოთხკუთხი კარებით. ხევში ასეთ სადგომთა დიფერენცი-  
რებული სახელები არსებობს — „საბერწე“ და „საძროხე“. თრუსოს ხეობაში  
კი მას ერთი საერთო სახელწოდება აქვს — „შკათ“ (ბოსელი). სამაგიეროდ,  
დამოუკიდებელი სახელწოდების მქონეა საცხვრე („ფიშტონ“), რომელიც ბო-  
სლის ფარგლებშივე შედის და საძროხესაგან ლასტის ტიხართაა იზოლირე-  
ბული. პირველი სართულის გეგმაზე მას აწერია 4. საძროხე შუქს იღებს წინა  
ფასადში დატანებული ორი სარკმლიდან, ხოლო საბერწე და საცხვრე ამავე კე-  
დელში არსებული თითო სარკმლის მეშვეობით. ბოსელი მთლიანად ფიქალითაა  
მოზღაული. საცხვრეს ერთ კუთხეში კარტოფილის ჩასაყრელი ორმოა („ორამ“)   
ამოშენებული, სადაც კარტოფილს ყრიან მეორე სართულის იატაკში ამოჭრილი  
ერდოდან („ერდო“). თავდაპირველად კი ამ ერდოს ბოსელში ჩასასვლელად იყე-  
ნებდნენ. საქონლის მომვლელი მამაკაცი ამით ბოსელში ჩადიოდა და იქ  
იძინებდა საქონლისადმი თვალყურის დევნების მიზნით. საჭირო შემთხვევაში  
ხელს ჩამოკრავდა „ხის ზარს“ (ქერში გარჭობილ ხმელი ხის ტოტს) და მისი  
ბზულით ოჯახის წევრებს გამოიძახებდა როცა რაიმე დასჭირდებოდა.

პატარა ეზოდან ქვის კიბით („აშინ, დურუაშინთა“) აღიან სახლის გვერდ-  
ზე მიშენებულ წინგარდაზე — საცხენის ბანზე, რასაც თრუსოს ხეობაში ეწო-  
დება „ოალბაჟარ“ (საცხენის ბანი). აქედან ქვის ორსაფეხურიანი კიბით უკავ-  
შირდებიან სახლის მეორე სართულის (ტაბ. III, სურ. 2) პირველ განყოფილე-  
ბას, რომელსაც გვერდებიდან ქვის კედლები აქვს, უკანა მხარეს ლასტი, ხოლო  
წინა ფასადზე დაბალი კედელია გავლებული. ამ კედელზე დგას ბოძი ბალიშით და  
ზედ გადებული თავხით. ამავე ბოძის ფიგურალურად გამოყვანილ ბალიშზე ძვეს  
სიგანეზე გადებული ორი დიდი ხის თავი. აღნიშნული განყოფილება წინა მხრი-  
დან ღია აივნის სახით წარმოგვიდგება და ოსურად ეწოდება „თრხ“. მისი წინა  
კედლის ნაპირში დატანებულია სახელოსნო იარაღის დასაწყობი თახჩები  
(„კუშკ“). ასეთივე თახჩებია დატანებული საცხოვრებელი ოთახის—სამყოფოს  
კედლებში, რაც მეორე სართულის გეგმაზე ყველგან აღნიშნულია ოთხიანი.

„თრხ“-ის უკანა მხარესაა სასტუმრო ოთახი („უათ“), რომელიც ახლად  
ჯვარდაწერილთა საწოლსაც წარმოადგენდა. მისი სამი კედელი ქვისაა, ხოლო  
„თრხ“-ისაგან ლასტითაა გამოყოფილი და ლასტში დატანებული კარებით  
(„დუარ“) დაკავშირებული. „უათ“-ის აღმოსავლეთ კედელში ორი სარკმელია  
(„რუხინგ“), ამჟამად დიდ, ოთხკუთხა ფანჯრებად გადაკეთებული. დასავლეთ  
კედელში კი, რომელიც „უათ“-ს სამყოფოსაგან სტიხრავს, გამოღებულია თა-  
როებიანი და ხის დარაბებით დახურული განჯინა („კულშკაფ“). სასტუმრო ოთა-

ხი და ს  
შენებუ  
მე  
ბას წარ  
ყოფო,  
ოთახის  
ყარებლ  
სარკმე  
ეს „ხა  
ბელ და  
ყოფილ  
აღ  
ეზოს კ  
ერობო  
იქვეა მ  
ლენჭელ  
ლის ამ  
ჭელიც  
ან გამო  
რები მ  
ბასთან  
სახ  
უცოცხ  
105 წლ  
თარიღ  
აქე  
ნებულ  
ნაპარს  
ხეობიდ  
დამკვი  
ხიზნულ  
ნოვები  
ჯინაში  
თაობას  
ბესოს  
შემდეგ  
ოჯახის  
თის გა  
არ  
ში მდ  
წელს.  
თრად  
ბის ტე  
12 და  
მეინა

ნი და სამყოფოს უკანა ნახევარი ზედ კლდეზეა დამყარებული ფერდობზე მი-  
შენებული სახლის ტერასულობის გამო.

მეორე სართულზე და საერთოდ სახლის კომპლექსში მთავარ განყოფილე-  
ბას წარმოადგენს ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილი დიდი ოთახი — სამ-  
ყოფო, რომლის ადგილობრივი სახელწოდებაა „ხაძარ“. აივნისა და სასტუმრო  
ოთახისაგან ის იზოლირებულია ქვის კედლით, ხოლო მათთან კავშირის დასამ-  
ყარებლად ამ კედელში დატოვებულია ოთხკუთხი კარები. სამყოფოს სულ ოთხი  
სარკმელი აქვს — ერთი დასავლეთ კედელში, ხოლო სამი სამხრეთ კედელში.  
ეს „ხაძარ“-ი თავდაპირველად გაუტიხრავი იყო და დიდი ოჯახის<sup>12</sup> საცხოვრე-  
ბელ დარბაზს წარმოადგენდა. ამჟამად კი სამ დიდ-პატარა ოთახადაა დასტი-  
თი და-

აღწერილ სახლს აქვს პატარა ეზო, გვერდზე ჩამოუდის პატარა მთის წყალი,  
ეზოს კარების წინაა სასმელი წყარო და წყლის მეორე მხარეზე გამართულია სა-  
ერობო (ტაბ. X). საერობოში ქვის სასხდომებია განლაგებული წრიულად და  
იქვეა მოწყობილი ტყავის საზელი — ქვის სალენჭელი (ტაბ. IX, სურ. 2). სა-  
ლენჭელზე სახლის პატრონის, ბესო საპიევის მიერ ამოკვეთილია აღწერილი სახ-  
ლის ამშენებლის ძამბოლათის გარდაცვალების თარიღი 1916 წ. თვით ეს სალენ-  
ჭელიც დიდი ლოდოდან ძამბოლათს გამოუთლია. იქვეა ბესოს მიერ უფრო გვი-  
ან გამოთლილი მეორე სალენჭელი (ტაბ. IX, სურ. 3). სოფ. შავარდენში მცხოვ-  
რები მამაკაცები საერობოში იყრიდნენ თავს და სოფლის ჭირ-ვარამზე მსჯელო-  
ბასთან ერთად ტყავის ზელაშიც ერთიმეორეს ეხმარებოდნენ.

სახლის მშენებლობა ძამბოლათს 22 წლისას დაუმთავრებია და 105 წლამდე  
უცოცხლია. თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ძამბოლათი 1916 წელს  
105 წლისა გარდაიცვალა, ხოლო სახლი 22 წლისამ ააშენა, სახლის აშენების  
თარიღი ემთხვევა 1833 წელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახლზე უფრო ადრინდელია მის წინ მიშე-  
ნებული ნანგრევები, რომლის აშენებას მთხრობლები მიაწერენ საპიევის წი-  
ნაპარს ვარიგას — ძამბოლათის პაპას. ვარიგა გადმოსახლებულა ქურთაულის  
ხეობიდან (ჩრდილო ოსეთიდან) და დამეზობლებია შავარდენში უფრო ადრე  
დამკვიდრებულ ორ გვარს — ნარიდან მოსულ მამიევს და ჭობორტიდან შემო-  
ხიზნულ არჩინაშვილებს. არჩინაშვილების ერთი ნაწილი — გაოსებული არძი-  
ნოვები შავარდენსა და ოქროყანაში ცხოვრობენ, ხოლო მეორე ნაწილი — არ-  
ჩინაშვილები ხევის სოფ. სიონში. ვარიგას შთამომავლობა მისი ჩათვლით ხუთ  
ქინაშვილები ხევის სოფ. სიონში. ვარიგას შთამომავლობა მისი ჩათვლით ხუთ  
თაობას მოიცავს (ვარიგა → ლაფერ → ძამბოლათ → ბესო → ქოლეახ)  
ბესოს ცნობით. ისინი ჯერ ძველ სახლში ცხოვრობდნენ ერთ დიდ ოჯახად, ხოლო  
შემდეგ უკვე ძამბოლათის მიერ აშენებულ ზემოთ აღწერილ სახლში. დიდი  
ოჯახის გაყრა და ნაწილის სხვაგან გადასახლება მომხდარა მხოლოდ ძამბოლა-  
თის გარდაცვალების შემდეგ.

არანაკლები ყურადღების ღირსია თრუსოს ხეობის სოფ. ზემო ოქროყანა-  
ში მდებარე სახლი (ტაბ. IV) ივანე გუდიევისა, რომელიც აშენებულია 1897  
წელს. ის დგას ფერდა კლდეზე, შედგება სამი სართულისაგან და მისთვის მკვე-  
თრად დამაჯასიათებელია სართულებისა და ცალკეული სათავსო-განყოფილებე-  
ბის ტერასული განლაგება.

<sup>12</sup> დიდი ოჯახის შესახებ დაწვრილებით იხ. Русудан Харадзе, Грузинская се-  
мейная община, Т. I, 1952, т. II, 1961, Тбилиси.

ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ მისთვის გამოყენებული სამშენებლო მასალისა და გადახურვის ტექნიკის შესახებ. კრილები (ტაბ. IV, V, VI) ამ საკითხზე სათანადო წარმოდგენას იძლევა, ხოლო ის, რაც საპიევის სახლის მაგალითზე დავინახეთ, თრუსოს ხეობის საცხოვრებელ ნაგებობათათვის საყოველთაოდაა დამახასიათებელი. რაც შეეხება გუდიევის სახლის სართულ-სათავსოთა განლაგებას, შედარებით სხვაგვარადაა წარმოდგენილი. მისი პირველი სართული (ტაბ. VII, სურ. 1) ნახევრად კლდეშია ნაკვეთი და შედგება ბოსელია, საცხვრესა და საღორესაგან. ბოსელი იზოლირებულია საცხვრესაგან მათ შორის მდებარე კლდით და ორივეს ცალ-ცალკე კარები აქვს. ბოსლის კარებიდან შედიან საღორეშიც, რომელიც შესასვლელის მარჯვენა კუთხეშია და გეგმაზე აღნიშნულია 4-ით. მის გვერდითაა მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. მეორე სართული (ტაბ. VII, სურ. 2) ქვის კედლებითა და ფიცრულით მრავალ განყოფილებადაა დატვირთული. ესენია: 1. საარაყე და კერა, 2. სენა („ქაბიცა“), 3. ბოსელში თივის ჩასაყრელი ერდოები ფიცრის სახურავებით, 4. „ხაძარ“ (სამყოფო). 5. „შკათ“ (ბოსელი) და 6. „ხაძარ“ (სამყოფო). გეგმაზე მეხუთე ნომრით აღნიშნული ბოსელი ორი იზოლირებული განყოფილების სახითაა წარმოდგენილი. ორი განყოფილებისაგან შედგება საცხოვრებელი ფართობიც.

მეორე სართული თავის მხრივ კიბის ზედა ნაწილით ორად იყოფა. მეორე სართულად არსებითად წინა მხარე შეიძლება ჩაითვალოს, რომლის ქვეშ მოქცეულია ბოსელი. რაც შეეხება უკანა მხარეს, სადაც ორგანყოფილებიანი ბოსელი და გეგმაზე მეექვსე ნომრით აღნიშნული სამყოფოა, ზედ კლდეზე მდებარეობს. ამ კომპლექსის გვერდითაა მიშენებული სამი მხრიდან ქვის კედლით შემოზღუდული მიწურბანიანი სამეურნეო ნაგებობა, ხოლო მის წინ პატარა ეზოა, რომელიც წინა ფასადის ირგვლივაცაა წაგრძელებული.

მესამე სართული (ტაბ. VI, სურ. 2) დადგმულია მეორე სართულის უკანა ნაწილზე — კლდეზე დაშენებულ განყოფილებებზე. მესამე სართულის ფართობიც ქვისა და ფიცრულის ტიხარებით მკვეთრად სეგმენტირებულია. მასში შედის როგორც სამზარეულო, ისე სასტუმრო და საცხოვრებელი ოთახები. პირველი და მეორე სართულებისაგან განსხვავებით, ამ სართულის იატაკი და ქვრი შეფიცრულია. თავდაპირველად კი მასაც მიწური იატაკი და შეუფიცრავი ჭერი ჰქონდა. ამ სართულის გვერდითაა სამეურნეო ნაგებობის ბანი, ხოლო წინ მეორე სართულის გადახურვა-ბანი, რომელზე მოხვედრაც შესაძლებელია ეზოდან ატანილი ქვის კიბით.

ბ. საპიევის ზემოთ აღწერილ სახლთან შედარებით ეს ნაგებობა არა მარტო უფრო ახალია, არამედ უფრო მეტად სეგმენტირებულიც. თუ საპიევის სახლის საცხოვრებელი ფართობის დაყოფა დიდი ოჯახის გაყრის შემდეგლა მოხდა, სამაგიეროდ გუდიევის სახლში ასეთი დაყოფა თავიდანვე დაგეგმილი ყოფილა. ეს მტიციდება არა მარტო მთხრობელთა გადმოცემით, არამედ იმითაც, რომ საპიევის სახლის დაყოფა ლასტისა და ფიცრის ტიხარებითაა შესრულებული, ხოლო გუდიევის სახლის სათავსოების განცალკევება თავიდანვე ქვის კედლებითაა განხორციელებული. აღწერილ ნაგებობათა ურთიერთშედარება გვაძლევს საშუალებას დავინახოთ სხვადასხვა ეპოქისათვის ნიშანდობლივი სურათი. ირკვევა, რომ რაც უფრო ძველია ნაგებობა თავისი ასაკით, მით უფრო დაუნაწევრებულია ოჯახის საცხოვრებელი განყოფილება, ხოლო უფრო მოგვიანო ხანაში აშენებულ სახლში მის დაქუცმაცებას აქვს ადგილი. ეს ვითარება თავის მხრივ გაპირობებულია თრუსოს ხეობაში არსებული ოჯახის ბუნებით. დაუნაწევრე-

ბელი სამყოფო აკმაყოფილებდა დიდი, გაუყრელი ოჯახის მოთხოვნილებას, ხოლო დანაწევრებულ ფართობში დამკვიდრებულია დიდი ოჯახის დაშლის ნიადაგ-ზე წარმოქმნილი პატარა ოჯახები.

\* \* \*

როგორც ვხედავთ, ორივე ეს სახლი თავისი მდებარეობითა და სართულ-სათვისობების განლაგებით ტერასულია. ასეთი ვითარება საერთოდ დამახასიათებელია თრუსოს ხეობის ძველი დასახლებისათვის. სხვა მთიანი რაიონებში მსგავსად<sup>13</sup> თრუსოს ხეობაშიც ძველი ნასოფლარები და უმეტეს შემთხვევაში დასახლების ასეთ ფორმას აპირობებდა მტრისაგან თავდაცვის საჭიროება, მთიდან აცილების აუცილებლობა და ადგილობრივი მეურნეობის ხასიათი. მაღლობზე დასახლებული მეურნე მთიელი პირუტყვის საკვებ ბაზასთან—სათი-ბებთან და საზაფხულო საძოვრებთან სიახლოვით საქონლის შენახვის ხელსა-რველ პირობებს ქმნიდა, რაც მისი ცხოვრების საჭიროებით იყო ნაკარნახევი.

დროთა ვითარებაში თანდათანობით იქმნება დასახლების შედარებით გაშლილი ფორმა და კომლთა რაოდენობის ზრდასთან ერთად ნაგებობაც ცვლილებას განიცდის. ეს ვითარება რელიეფური სიცხადით აშკარავდება თუნდაც სოფ. ქეთრისის მაგალითზე.

ძველი ქეთრისი მდებარეობდა მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, მთის ფერდობზე, სადაც ოთხი საგვარეულო 12 კომლად იყო დასახლებული. ოთხივე საგვარეულო (კოკაევი, კესაევი, ცალაგოვი და კეტოევი) ჩრდილო ოსეთიდან—ნარის ტაფობიდან გადმოსახლებულან და აქ სხვადასხვა დროს დამკვიდრებულან. ამათგან, ქეთრისის პირველ მოსახლედ მთხრობლები აღიარებენ კოკაე-ვებს. შემდეგ მოსულან კესაევები და ცალაგოევი, ხოლო სულ ბოლოს კეტოე-ვები. ეს უკანასკნელნი ჯერ სოფელ ზაკაგორში დამკვიდრებულან, ხოლო იქი-დან სოფ. ქეთრისში გადმოსახლებულან. ამიტომაც, რომ თავდასაცავი კოშკები მხოლოდ ადრე დასახლებულ სამ საგვარეულოს ჰქონია. ამათგან ყველაზე ძველი ციხე პირველად დასახლებული კოკაევებისა აუშენებია მათ წინაპარს—სესამაკს. კესაევებისა და ცალაგოევის ციხეების ამშენებელთა სახელები კი და-ვიწყებასაა მიცემული.

ნასოფლარ ქეთრისში სამი კოშკის ირგვლივ მჭიდროდ დასახლებული სამი საგვარეულოს უბნების ნანგრევებია. თითოეული საგვარეულოს სამოსახლო უბანი კოშკთან დაკავშირებულია ერთიმეორეში გამავალი კარებით, ხოლო უბ-ნებიც თავის მხრივ ისე ახლო კავშირშია ერთმანეთთან, რომ მთელი სოფელი მთლიან ციხე-სიმაგრესავით ნაგებობათა ანსამბლადაა შეკრული. დაახლოებით

<sup>13</sup> შდრ. ბ. ჩიტიია. დასახლების ტიპი მთიულეთში, მსგ, VI, თბილისი, 1953; ალ. რობაქიძე. დასახლებია ფორმა ბალყაოეთში, მსგ, XI, თბილისი, 1960, მსგ., ტ. XII—XIII, თბ., 1963; მისივე. სვანური ქალაქოლ-ის საკითხისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებ-რივ მეცნ. განყ. შომბე. ტ. 3, თბილისი, 1963, მისივე, К вопросу о формах поселения в Сванети. Кр. сообщ. Ин-та этнографии АН СССР, в. XXIX, М., 1958, А. И. Роба-кидзе и Р. Л. Харалдзе. К вопросу о сванско-балкарских этнокультурных взаи-моотношениях, сб. კრებულში—“О происхождении балкарцев и карачаевцев“, Наль-чик, 1960 და სხვ.

2—3 თაობაა გადასული მას შემდეგ, რაც ამ სოფელმა თერგის მარჯვენა ნაპირზე, გაშლილ ვაკეზე გადმოინაცვლა და სავსებით იცვალა სახე. ახალ ქეთრისში არც ერთი კოშკი აღარ აშენებულა. მოსახლეობა 12 კომლიდან 36 კომლამდე გაიზარდა (გარდა სხვაგან გადასახლებულებისა), რაც გამოწვეულია დიდი ოჯახების სეგმენტაციისა და გამრავლების მიზეზით. ტერასული დასახლების ნაცვლად მივიღეთ შედარებით გაშლილი დასახლება, წინ პატარა საკარმიდამო ნაკვეთებით. ახალ ქეთრისში ვერ შევხვდებით ვერც ერთ ისეთ უბანს, სადაც მხოლოდ ერთი გვარი იყოს დამკვიდრებული. გვარეულობათა მიხედვით უბნური დასახლების ძველი პრინციპი მოშლილია.

თანამედროვე ქეთრისის სიახლის მაჩვენებელ მნიშვნელოვან კომპონენტად გვესახება საცხოვრებელი ნაგებობანი. აქ ძირითადად კვლავ ორსართულიანი სახლებია. აქა-იქ გვხვდება ერთსართულიანი, სიგრძივ განზომილებაში წარმოდგენილი და ოთახებად დანაწევრებული ნაგებობანიც, მაგრამ რიცხობრივად ორსართულიანი მას ბევრად ჭარბობს. ქეთრისში და საერთოდ თრუსოს ხეობაში ჯერ კიდევ ცოტაა თუნუქითა და კრამიტით დახურული საცხოვრებლებიც; უმრავლესობა მიწურბანიანია, მაგრამ ძველი სახლებისაგან განსხვავებული ფორმითა და შიდამოწყობილობით. ძველი სახლებისათვის დამახასიათებელი ვიწრო სარკმლებისა, თალიანი კარებისა, დიდი მოცულობის სამყოფოსა და ანტიპიგიენური პირობების ნაცვლად ახალ ქეთრისში სახლებს აქვს ოთხკუთხი კარები და შუშით გაწყობილი დიდი ფანჯრები, უფრო მეტად დანაწევრებული და ერთმანეთისაგან კარგად იზოლირებული განყოფილებები და გაცილებით უკეთესი პიგიენური პირობები.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. ქეთრისის ახალ დასახლებაში გვხვდება სახლები, რომლებშიც რამდენიმე ძმის ოჯახი ცალ-ცალკე ცხოვრობს. ისინი თავდაპირველად ერთი ოჯახის შემადგენლობაში შედიოდნენ და სახლიც საერთო საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ გაყრის შემდეგ ფართობი მოწილეებზე ნაწილდება. ასეთია, მაგალითად, გიორგი და ნიკალა კოკაელების ორსართულიანი სახლი (ტაბ. IX, სურ. 1). მისი ორივე სართული ძმათა ოჯახებზე თანაბრადაა განაწილებული თავისი საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსოებით. პირველი სართულის წინ გრძელი, ღია აივანია, მოაჯირად გაღობილი და ერთმანეთზე მავთულით გადაბმული ქვის დიდი ფილებით (ფიქალით). მეორე სართულის ერთ ნახევარს წინ მიყვება სავსებით ღია აივანი, ხოლო მეორე ნახევარის წინ დერეფანია — წინგარდა. სამეურნეო ნაგებობანი—ბოსლები და საწყობები მიშენებულია სახლის ორივე გვერდზე.

ამგვარად, თრუსოს ხეობაში გვხვდება ძველი ტიპის ტერასული ნაგებობანი, მის პარალელურად გადაკეთებული სახლები და სიგრძივ განზომილებაში განლაგებული სათავსოებით წარმოდგენილი ორსართულიანი ნაგებობანი — კესაეების აქ აღწერილი სახლის მსგავსი. მაგრამ გვაქვს უახლესი სახეობის საცხოვრებლებიც. ერთ-ერთი ასეთი სახლი, კრამიტით დახურული, დგას იმავე სოფ. ქეთრისში, რომელიც ეკუთვნის კოკაეებს. ის თავდაპირველად ერთსართულიანი იყო, ბანით დახურული. 1933 წელს ალექსი და ალექსანდრე გასას ძე კოკაეებს დაუშენებიათ მეორე სართული. მათვე პირველ სართულს გვერდზე მიუშენეს ბოსელი, ხოლო ადრე საცხოვრებლად გამოყენებული პირველი სართული გადააკეთეს სენედ. როდესაც ეს ოჯახი სამად განაწილდა, ზედა სართულს ორ-ორი ოთახი წილად ხვდა ძმებს, ხოლო ერთი ოთახი მამას. სამად გაყვეს სამეურნეო დანიშნულების მქონე პირველი სართულიც ნაგებობის მთელ ამ

კომპ  
ფარ  
პურ  
ხია  
წინა  
თენ  
  
ვის  
სასვ  
ღანჯ  
  
(ოქტ  
ქიან  
დღე  
  
მონა  
კულ  
რის  
ვის  
ხე-კ  
ბლო  
ში. რ  
სურ.  
ორგ  
  
ლის  
ნეო  
გვერ  
ზე, ნ  
რთუ  
შრო  
ბიან  
ნებუ  
ხე-კ  
ვა ამ  
  
ანი ს  
ქცეუ  
  
14  
XVI  
XIX

კომპლექსს წინ აქვს შემოღობილი ეზო და საკარტოფილე ნაკვეთი, ხოლო ამ ფართობის წინა პლანზე დგას სასოფლო-სამეურნეო იარაღის, ჩალა-თივისა და პურის შესანახი ერთსართულიანი ნაგებობა ე. წ. „მუშ“. ის ოთხკუთ- წინა მხრიდან შესასვლელი ბორბლიანი ტრანსპორტის შესაგორებლადაა განკუ- თვნილი. დღეისათვის „მუშ“ ორი ძმის საერთო მოხმარებაშია.

აღწერილ სახლს ორივე სართულზე აქვს ღია აივანი, რომლის გადახურ- ვის საყრდენად გამოყენებულია წინ დაყენებული ხის ბოძები. ოთახებში შე- სასვლელი ოთხკუთხი კარები შედის აივნიდან, ხოლო შუშით გაწყობილი დიდი დანჯარები დატანებულია წინა და გვერდით კედლებში.

ასეთი გრძელი სახლების გვერდით თრუსოს ხეობის ზოგიერთ სოფელში (ოქროყანა, ნოყაუ) გვხვდება კვადრატული გეგმის მქონე კრამიტიანი და თუნუ- ქიანი სახლები, კიდევ უფრო იშვიათად შუშაბანდიანი საცხოვრებლებიც, მაგრამ დღემდე მაინც ჭარბობს ბანიანი ორსართულიანი ნაგებობანი.

\* \* \*

თრუსოს ხეობაში დღემდე ისტორიულად საინტერესო ბევრი ძეგლია შე- მონახული<sup>14</sup>. ზოგიერთი სოფელი შეუვალ ციხე-სიმაგრედ წარმოგვიდგება. სა- კულტო და განსაკუთრებით საინტერესო საფორტიფიკაციო ნაგებობათა შო- რის ყურადღებას იქცევენ თავდაცვითი ხასიათის საცხოვრებლებიც. თავდაც- ვის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით ზოგიერთი მათგანი მიშენებული იყო ცი- ხე-კოშკზედაც, ისევე, როგორც ამის მაგალითები გვხვდება მოხევეების სამშენე- ბლო პრაქტიკაში. ასეთია, მაგალითად, სამსართულიანი სახლი სოფელ ზაკავორ- ში. რომელიც მაღალ კოშკზეა მიდგმული. ნაგებობის ეს კომპლექსი (ტაბ. VIII, სურ. 1) საიმედოდ შეკრული ამ ციხე-სოფლის არქიტექტურული ანსამბლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

ამ სამსართულიანი ნაგებობის პირველი სართული გამოიყენებოდა საქონ- ლის სადგომად. ხოლო მეორე-მესამე სართულები საცხოვრებელი და სამეურ- ნეო დანიშნულების მქონე სათავსოებისაგან შედგებოდა. მესამე სართულს გვერდით ჰქონია ღია აივანი, რომლის სახურავი დაყრდნობილი იყო ხის ბოძებ- ზე, ხოლო მის წინ ფართობს ქმნიდა მეორე სართულის ბანის ერთი ნაწილი. სა- რთულთა შორის კავშირს ამყარებდნენ ერდოების მეშვეობით, რაც ოჯახის უში- შროებას კარგად უზრუნველყოფდა მტრიანობის შემთხვევაში, ხოლო მშვიდო- ბიანობის დროს მესამე სართულზე ასასვლელად იყენებდნენ გვერდიდან მიშე- ნებულ ქვის კიბეს. ვინაიდან ნაგებობის ეს კომპლექსი მიშენებულია ზედ ცი- ხე-კოშკზე, კიბიდან მის კარებში შესვლის შესაძლებლობის წყალობით თავდაც- ვა ამით კიდევ უფრო გაძლიერებულია.

არა ნაკლებ საინტერესოა სოფ. ძველ ქეთრისში არსებული სამსართული- ანი სახლი, რომლის მხოლოდ ნანგრევია შემორჩენილი ასევე ნანგრევებად ანი სახლი, რომლის მხოლოდ ნანგრევია შემორჩენილი ასევე ნანგრევებად ქცეული სოფლის სახლებსა და ციხე-კოშკებს შორის, ყაზბეგის მხარეთმცოდ-

<sup>14</sup> П. Закарая. Некоторые вопросы крепостных сооружений Шиды Каргли XVI—XVIII вв. საქდ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მონაბე, ტ. XIX-A—XXI—B. თბილისი, 1957.

ნეობის მუზეუმში ინახება ამ სახლის ნახაზი (ტაბ. VIII, სურ. 2). ამის მიხედვით აშკარაა, რომ ეს სახლი საბრძოლო კოშკზეა მიდგმული და ორივე ეს ნაგებობა ქვის კედლების გაღვნიტაა შემოზღუდული.

კოშკური მოყვანილობის სამსართულიანი ციხე-სახლის კედლები დღემდე შემორჩენილი სოფ. ქვემო თქროყანაშიც. ის აშენებულია ადგილობრივი ქვის (ციხი, თლილი ქვა, ბასრი, ფიქალი) მშრალი წყობით. კედლის გულში ჩაყრილია ყვითელი მიწა, ხოლო სარტყლებად დაყოფებულია ლასტის ფენები კედლის უკეთესად გადაბმის მიზნით. ლასტის ამ დანიშნულებით გამოყენების დაქტს ვადასტურებთ ხევის საფორტიფიკაციო ძეგლების კედელთა წყობაშიც (მაგ., სოფ. სნოს ერთ-ერთი კოშკი).

ციხე-სახლის აშენებას მიაწერენ ჭოპორტიდან გადმოსახლებული არჩინაშვილების წინაპრის ორ შვილს — ბიციკოსა და ალხასტის. 85 წლის ალექსი ნიკალას-ძე კოკაევის ვარაუდით, მას შემდეგ დაახლოებით 6—7 თაობაა გადასული. თუ თაობიდან თაობამდე საშუალოდ 30 წელს ვიანგარიშებთ, აღნიშნული კოშკის ხნოვანება 200 წლამდე ადის.

აღმოსავლეთისაკენ მდებარე წინა კედელში, მეორე სართულზე დატანებულია თალიანი კარები, რომლის ორივე მხარეზე შიგნიდან საკეტი ძელის გასაყრელი ხვრელებია გაკეთებული. ამ კარებიდან მეორე სართულზე შესული ადამიანი სართულთა გადახურვაში დატანებული ერდოებით ქვედა და ზედა სათაჯსოებს უკავშირდებოდა. ყველა სართულზეა როგორც სინათლის შემოსასვლელი და ბოლის გასასვლელი სარკმლები, ისე სათოფურები. სათოფურები შიგნიდან განიერია იმდენად, რომ მეომარი ნიდაყვების დაბჯენით გაიმართებოდა, ხოლო გარედან დავიწროებულ ხვრელში თოფის ლულა ქვემოთკენ დახრილ მდგომარეობაში ექცეოდა და ტყვიას სახლის ირგვლივ შემორტყმული მტრისაკენ აძლევდა მიმართულებას. კედლებში შემორჩენილია სართულთა გადახურვის ნაშთებიც — ხეების თავები და ხეების დასართავად კედლებში დატანებული ბუდეები. ამათზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალია მესამე სართული, მაგრამ სამაგიეროდ ის მეორე და განსაკუთრებით პირველ სართულთან შედარებით ნაკლები ფართობისაა ნაგებობის კოშკური მოყვანილობის გამო.

სამსართულიანი ნაგებობის გვერდით თრუსოს ზეობისათვის დამახასიათებელი ჩანს ოთხსართულიანი კოშკებიც, რომლებიც საჭირო შემთხვევაში საცხოვრებლადაც იყო მოხარებული. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფ. მნაში შემორჩენილი ზურგიანი კოშკი<sup>15</sup>. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ კედლები, რომლის მხოლოდ სართული და უკანა კედლის თითქმის ორივე სართული ჩამონგრეულია. მის კედლებში დატანებულია საომრად გამოყენებული სათოფურები.

ადგილობრივი მკვიდრნი კოშკის აშენებას მიაწერენ ვინმე სია სუხიევს (ძირად სუხიაშვილს), რომელიც ჭოპორტიდან გადმოსულა. გაოსებულ სუხიაშვილებთან ჭოპორტელი სუხიაშვილების ურთიერთობას ინტენსიური ხასიათი ჰქონია, რაც თავის გამოხატულებას უმთავრესად დღეობებზე ერთმანეთთან სტუმრად მისვლა-მოსვლაში პოულობდა.

სხვათა შორის, ციხის კედლის ერთ-ერთ ქვაზე გამოკვეთილია მარჯვენა ხელის მტევანი, რომელიც მნაველთა მტკიცებით, კოშკის ამგების — სია სუხია-

<sup>15</sup> ზურგიანი კოშკის აშენების მიზეზად მნაველები მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ იგი მთიდან დაქანებულ ზევის ისხლეტს და დანგრევის საშიშროებისაგან უზრუნველყოფილია ასეთთავე ახსნას იძლევიან მოხევეები, რაც მართლაც საგულისხმოა.

შვილის მარჯვენა ხელის გამოსახულებას წარმოადგენს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ ტრადიციის გაგრძელებასთან, რაც საერთოდ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოს ძველ ყოფაში იყო ფართოდ გავრცელებული. იგი მრავალგზის და მოწმებული ჩვეულებაა, რაც სათანადოდ არის აღწერილი და გარკვეული სპეციალურ ლიტერატურაში<sup>16</sup>. დადგენილია, რომ ეს ტრადიცია უძველესი ეპოქიდან მომდინარეობს, ხოლო ხელს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული. ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო მხარეს წარმოადგენს ის, რომ ხელი დალსა, სიმტკიცისა და უფლების სიმბოლოდაც იყო მიჩნეული. საცხოვრებელ ნაგებობაზე ხელის გამოსახულების ჩვეულებას შედარებით ვრცლად ვეხებით დასაბეჭდად მომზადებულ მონოგრაფიაში — „ძველ და ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევში“, რის გამო აქ სიტყვის გაგრძელებას საჭიროდ აღარ ვთვლით.

სია სუხიაშვილის მიერ მნაში აგებული ოთხსართულიანი კოშკი მტრის შემოსევის დროს გამოყენებულ თავშესაფარ საცხოვრებელს წარმოადგენდა. თვით კოშკში შეხიზნული მნავლების დროებით ცხოვრება მის სხვადასხვა სართულში ხდებოდა. ამისათვის ის სათანადოდ იყო მოწყობილი საცხოვრებელი ბინისათვის დამახასიათებელი კედელში გამოყვანილი თახჩებითა და ქვის ფილებისაგან გაკეთებული თაროებით. იქვე მოწყობილ კერაზე ანთებდნენ ცეცხლს, რომლის კვამლი სარკმლებიდან და სათოფურებიდან გადიოდა. აღნიშნული კოშკის ოთხი სართული თავისუფლად იტევდა მნაში ოთხ ოჯახად მცხოვრებ ოთხ პატარა გვარს (სუხიევი, კასაევი, ცაბლოვი, კუსაევი). მშვიდობიანობის დროს ისინი კვლავ აღნიშნული კოშკის ირგვლივ ტერასულად და ერთმანეთთან მჭიდროდ მიშენებულ თავ თავიანთ სახლებში გადადიოდნენ, რომლებიც აგრეთვე სათანადოდ იყო გამაგრებული და მოულოდნელი თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი.

დროებით საცხოვრებლად ციხე-კოშკების გამოყენებას ადგილი ჰქონდა მოხევითა ყოფაშიც, აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებშიც<sup>17</sup>.

საცხოვრებელი, სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულების მრავალსართულიანი ნაგებობანი ფართოდ იყო გავრცელებული და დღესაც არაიშვიათად ვხვდება საქართველოს და კავკასიის მთიან რაიონებში. მკვლევართა მიერ ძირითადად დადგენილია როგორც თითოეულ კუთხეში არსებული ამგვარი ნაგებობების არქიტექტურული ფორმები, ისე მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა გამორკვეული. ამ საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევების<sup>18</sup> მიხედვით შესაძლებელი ხდება ერთი მხრივ სხვადასხვა კუთხის ნაგებობათათვის დამახასიათებელი თავისებურებების, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა მათგანისათვის საერთო ელემენტების დანახვა.

<sup>16</sup> Л. Меликсет-Бек. Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии. Мასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბილისი, 1957; ვ. ციხაძე, შვილი, ჯაგნეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბილისი, 1959, და სხვ.

<sup>17</sup> პ. ზაქარაიძე, დასახ. ნაშრომი: მისივე, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1953, გვ. 51—53, 61.

<sup>18</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, თბილისი, 1930; მისივე, მთის რაჭა, თბილისი, 1930; მისივე, ზღვურეთი, თბილისი, 1933; მისივე, ფშავი, თბილისი, 1934; მისივე, ხევსურეთი, მისივე, თუშეთი, თბილისი, 1935; მისივე, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთ-თბილისი, 1935; მისივე, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთ-თბილისი, 1945; გ. ჩიტაია, ზღვურეთი სახლის „სენე“, ანალები, I, თბილისი, 1947; ში, თბილისი, 1945; გ. ჩიტაია, ზღვურეთი სახლის „სენე“, ანალები, I, თბილისი, 1947; ში, თბილისი, 1945.

\* \* \*

ამგვარად, თრუსოს ხეობაში ძველად გავრცელებული იყო მთური ტიპის მრავალსართულიანი ნაგებობანი, რომლებიც შედგებოდა საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი სათავსოებისაგან. საცხოვრებელი ფართობი გაუტიხრა და ყველა სხვა განყოფილებაზე დიდი მოცულობისა იყო. როგორც საქარავი და ყველა სხვა განყოფილებაზე დიდი მოცულობისა იყო. როგორც საქართველოსა და კავკასიის სხვა მთიან რაიონებში, აქაც საცხოვრებელი განყოფილების შიდა მოწყობილობის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა კერა. კერის მდებარეობას განსაზღვრავდა სახლის სართულიანობა. ორ-სამ სართულიანი სახლის ქვედა სართულზე კერა სარკმლებთან ახლოს კეთდებოდა, რათა ბოლი სარკმლებიდან გასულიყო. ხოლო სულ ზედა სართულზე კერას ცენტრში აწყობდნენ და ბოლის გასასვლელს სარკმლებთან ერთად ბანში ამოჭრილი ერდოც წარმოადგენდა.

ცეცხლის დასანთები ადგილი მიწური იატაკის ღრმულს წარმოადგენდა ირგვლივ შემოწყობილი ქვებით. შუა ადგილას იდო პურის საცხობად გამოყენებული ქვის კეცი („ჩეცი“, ანუ „ჭესი“), ხოლო საწვავის დასართავად კერის ორი ქვა. ზოგიერთ შემთხვევაში ქვებს ენაცვლებოდა ამავე დანიშნულებით გამოყენებული რკინის ზედადგარი („შანცათ“ || „უეუანგარი“). კერის ზემოთ ჭერში მოწყობილ აყარზე<sup>19</sup> („ვალარდიგათა“) ჩამოკიდებული იყო ჯაჭვი („რახიშ“), ხოლო ამ უკანასკნელზე კერძის სახარში ქვაბი.

კერის თავში იდგა ოჯახის უფროსი მამაკაცის საჯდომად განკუთვნილი ზურგიანი და ორნამენტებით დამშვენებული სამფეხა სავარძელი („ბანდონ ზარონდ ლაგან“). მარჯვენა მხარეზე მდგარ ხის გრძელ სკამზე („დარბანდონ“) ჯდებოდნენ მამაკაცები უფროს-უმცროსობის მიხედვით, ხოლო მარცხნივ დედაკაცები. გარდა დიასახლისისა („ავშინ“), რომელსაც კერასთან უბრალო სამფეხა სკამი („ბანდონ“) ედგა, ქალები ისხდნენ ბალიშებზე. მამაკაცთა გრძელ სკამზე და მით უფრო საუფროსო სავარძელზე ქალის დაჯდომა ადათით სასტიკად იყო აკრძალული და ისინი მამაკაცთა იქ არ ყოფნის შემთხვევაშიც კი ვერ ბედავდნენ ამ ჩვეულების დარღვევას.

კერასთანვე ახლოს იდგა სასაიდლო მაგიდა, უმთავრესად მრგვალი მოყვანილობისა და სამფეხა, რომლის ადგილობრივი სახელწოდებაა „ჭინგ“. სამყოფოს სხვადასხვა კედელთან და კუთხეებში განლაგებული იყო საწოლები, საჭმელ-სასმელის შესანახი კარადები და საოჯახო ჭურჭელი. ამ მხრივ განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა კედლებში დატანებული თაროებიანი განჯინები და თახჩები, როგორც ეს ბ. საპიევის ზემოთ აღწერილ სახლშია შემონახული, ხოლო სამეურნეო იარაღსა და პროდუქტებს ინახავდნენ სამეურნეო დანიშნულების მქონე სათავსოებში, რომლებიც ან სხვა რომელიმე სართულზე იყო, ანდა ოჯახის საცხოვრებელი ფართობისაგან ტიხარით იყო იზოლირებული.

Д. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванетии, Тбилиси, 1938; მათივე, Архитектура горных районов Грузии. Москва, 1940; П. Закарая. Некоторые вопросы крепостных сооружений Шиди Каргли XVI—XVIII вв. მუზეუმის ნაშბე, ტ. XIX—А—XXI—В; Л. Семенов. Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1928 и 1929 гг; Изв. Ингушского научно-исслед. Института краеведения, т. II—III Владикавказ, 1930.

<sup>19</sup> აყარისა და კერას შესახებ დაწვრილებით იხ. მ. ჩართლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961.

დღეს თრუსოს ხეობაში ძველი შიდამოწყობილობის მქონე სამყოფო და მით ცხოვის მიზნით გამოყენებულია თუნუქის ღუმელი, მაგრამ მის გავრცელებამდე აქა-იქ კედელში დატანებული ბუხარიც („თონონა“) ყოფილა ხმარებაში.

იშვიათი ეგზემპლარების სახით თრუსოს ხეობაში არსებული ბუხრები ევროპის შემცველად გვევლინებიან და მათი ძირითადი ფუნქცია გათბობა არის, მაგრამ როგორც ადგილზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ბუხარი მარტოდენ გათბობის მიზნით არ იყო გამოყენებული და საჭირო შემთხვევაში ის საჭმლის მოსახარშავის პირდაპირ პასუხს არ იძლევა, მაგრამ ხევის ტერიტორიაზე მდებარე ოსებით დასახლებულ სოფ. უხათში ეს ვითარება უტყუარი საბუთით დასტურდება. სახელდობრ, ტუაევების ორსართულიანი სახლის ნანგრევში გვერდითი (აღმოსავლეთ) კედლის მეორე სართულზე, სადაც ოჯახი ცხოვრობდა, დღემდე შემონახული თალიანი ბუხარი, რომელშიც ჭაჭვია (საკიდელი) ჩამობმული მასზე ქვების ჩამოკიდებისა და საჭმლის მოხარშვის მიზნით. უხათელი ოსებიც ადასტურებენ, რომ ჭაჭვი იქ იმავე დანიშნულებას ასრულებდა, რასაც კერის საკიდელი.

თრუსოს ხეობის ოსურ მოსახლეობაში კერა არა მარტო გათბობისა და საჭმლის მოხარშვის მიზნით გამოიყენებოდა, არამედ ის დედაბოძთან ერთად წარმოადგენდა საოჯახო კულტის ცენტრს. კერის ნაცარში ცეცხლი მუდმივად ინახებოდა, რაც ოჯახის გაყრის შემდეგ ახალ აშენებულ სახლშიც მიჰქონდათ განაყრებს. სხვა შემთხვევაში კი ცეცხლის გაცემა ოჯახიდან უბარაქობის მომასწავებლად იყო მიჩნეული. ეს ჩვეულება ასახულია საახალწლო რიტუალშიც, როდესაც არა მარტო ცეცხლის, არამედ სხვა რაიმეს გაცემა-გასესხებაც არ იყო მიზანშეწონილი. ოჯახის ერთიანობისა და კეთილდღეობა-სიცოცხლის სიმბოლოდ მიჩნეული კერის როლი განსაკუთრებით საყურადღებოა საქორწინო წესების შესრულებასთან დაკავშირებით.

თრუსოს ხეობის ოსთა წარმოდგენით, კერა-საკიდელს დაპატრონებულია ოჯახის ერთ-ერთი მფარველი ღვთაება „საქა“. ქორწილში მეჯვარე („კუხილხაცავ“) მამის სახლიდან ქმრის ოჯახში გამგზავრებამდე ქალს კერა-საკიდლის ირგვლივ სამჯერ წაღმა შემოატარებდა. მესამე შემოვლის შემდეგ პატარძალს ხელს შეახებინებდა ჭაჭვზე და ცოტა განზე გააწევიანებდა. ამ წესის შესრულებით პატარძალი სამუდამოდ ემშვიდობებოდა მამის სახლს და სახალხოდ აცხადებდა ქმრის ოჯახში გადასვლაზე თანხმობას. ქორწილის მეორე ან მესამე დღეს ნეფის ოჯახში სრულდებოდა ე. წ. „ჩინძარსავ“ (პატარძლის საღამო). მეჯვარე პატარძალს ქმრის ნათესავების დასწრებით მიიყვანდა კერასთან. ნეფის ნათესავთა შორის ყველაზე ხშიერი მამაკაცი ლოცვა-ვედრებით მიმართავდა „საქას“ და ოჯახის მეორე მფარველ ღვთაებას — „ბინათიხაცაუს“, რათა მათი ოჯახის წევრად ეგულათ პატარძალი და თავიანთი მზრუნველობა არ მოეკლოთ ახალშეუღლებულთათვის. ამ ლოცვის შემდეგ მეჯვარე აქაც სამჯერ შემოატარებდა პატარძალს კერის ირგვლივ. მესამე შემოვლაზე, ეჯიბის მითითებით, ქალი საკიდელს დასწრე მოავლებდა და თავისკენ მიიზიდავდა, რაც ახალ ოჯახში მისი მიღება-ზიარების სიმბოლიურ გამოხატულებას წარმოადგენდა. რაც შეეხება ეჯიბს, მისი მოვალეობა ამით არ ამოიწურებოდა და თავის მხრივ ყოველ შემოვლისას საკიდელზე ოთოჯერ არტყამდა ხმალს, როგორც ქალის, ისე ვაჟის სახლში. ხმლის



როგორც ვხედავთ, ყველა ამ ღვთაებას თავისი ადგილ-სამყოფელი გააჩნია. მათი მოქმედების ფარგლებიც განსაზღვრულია. ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სახლისა და ოჯახის მფარველ ღვთაებებს თრუსოელი ხალხები ერთმანეთისაგან ანსხვავებენ სიძლიერის მიხედვითაც, ისევე, როგორც საერთოდ ეს ხდება ღვთაებათა იერარქიაში. მათი ღრმა რწმენით, სახლის კომპლექსში დამკვიდრებულ წმინდანთა შორის ყველა ამათზე უფრო ძლიერია ე. წ. „ბინათიხიცაუ“, რომლის ადგილსამყოფელს პროდუქტების შესანახად განკუთვნილი სათავსო — სენა („ქაბიც“) წარმოადგენს. თუ ზემოთ დასახელებული სენა (ერთიან საკიდლის პატრონი, მეორე „წმინდა ბოდისა“ და მესამე „უათ“-ისა), „ბინათიხიცაუ“ აღიარებულია მთელი ოჯახისა და მისი საცხოვრებელი სახლის მფარველად. მისი ეს უფლება და როლი მისსავე სახელწოდებაშია ასახული. თრუსოში ოჯახს ეწოდება „ბინონთა“, ხოლო ამ ძირის მქონე სიტყვა — „ბინათიხიცაუ“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ოჯახის ანგელოზს“.

ხალხური გადმოცემით, „ბინათიხიცაუ“ მუდმივად ერთ ადგილზეა დამკვიდრებული. თავისი ფუნქციით ის გათანაბრებულია ქართველთა რწმენაში წარმოდგენილ „ადგილის დედასთან“. ოჯახის სხვაგან გადასახლების შემთხვევაშიც კი „ბინათიხიცაუ“ („ოჯახის ანგელოზი“ || „ადგილის დედა“) ძველ სახლშივე რჩება. უფრო მეტიც, ძველი სახლის დანგრევის შემდეგაც კი ის ამ ადგილს მაინც არ მოსცილდება. ისევე, როგორც სხვაგან თრუსოში ძველად სწამდათ, რომ ყოველ ადგილს თავისი მფარველი ანგელოზი ყავს. ასეთი რწმენის გამო, ახალი სახლის მშენებლობის დაწყებამდე მოხუცები ევედრებოდნენ „ადგილის დედას“ („ბინათიხიცაუს“), რათა მას ოჯახისთვის მფარველობა გაეწია. თუ ძველი სახლის დანგრევა ან მიტოვება სურდათ, მაშინ კი ჯერ მისი „ბინათიხიცაუსადმი“ ევედრებას ჰქონდა ადგილი ძველი საცხოვრებლის მიტოვებით ჩადენილი „დანაშაულის“ შეწყნარების მიზნით, ხოლო მის წინაშე ვალმოხდინი ახალი საბინადრო ადგილის პატრონის მომადლიერებისათვის საჭირო ცერემონიის შესრულებაზე იწყებდნენ ზრუნვას. ახალ ბინაში დამკვიდრებული ოჯახისთვის შესრულებაზე იწყებდნენ ზრუნვას.

მოხრობელთა გადმოცემით, „ბინათიხიცაუს“ ადგილს „ქაბიცის“ მაგივრად ზოგჯერ „ხაძარის“ ის ნაწილიც წარმოადგენდა, რომელიც საქალეზო მხარედ ითვლებოდა. სენე („ქაბიც“) სამყოფოსაგან („ხაძარ“) ტიხარით არის იზოლირებული და მათი დამაკავშირებელი კარები სწორედ საქალეზოდანაა გაკეთებული. იმის მიუხედავად თუ „ბინათიხიცაუ“ სადაა დამკვიდრებული — სენეში თუ სამყოფოს საქალეზო ნაწილში, ერთი რამ მაინც ცხადია, მისი ადგილ-სამყოფელია სახლის ის კუთხე, რომელიც დიასახლისის გამგებლობაშია. ქართველ მთიელთა ყოფაში არსებული ჩვეულების მსგავსად, აქაც სენესა და საქალეზოს ბატონ-პატრონია დიასახლისი („ავშინ“) და „ბინათიხიცაუსადმი“ ლოცვების ვედრებაც ძირითადად მის კომპეტენციაში შედის. ოჯახის დანარჩენ ანგელოზთა ვედრებაც ძირითადად მის კომპეტენციაში შედის. ოჯახის დანარჩენ ანგელოზთა ვედრებაც ძირითადად მის კომპეტენციაში შედის. ოჯახის დანარჩენ ანგელოზთა ვედრებაც ძირითადად მის კომპეტენციაში შედის.

ის გარემოება, რომ „ბინათიხიცაუს“ ადგილ-სამყოფელია სახლის საქალე-  
ბო ნაწილი და მისთვის განკუთვნილი რიტუალის შესრულებაც დიასახლისის  
უფლებებში შედის, გვაძლევს უფლებას, რომ ეს რწმენა-ჩვეულება მივაკუთვ-  
ნოთ მატრიარქატის საფეხურიდან მომდინარე გადმონაშთების წყებას.

ძველი ხალხური წარმოდგენით, „ადგილის დედა“ როგორც მამრობითი  
სქესისაა, ისე მდედრობითი. პირველი მათგანი ძლიერ და კეთილ არსებადაა აღი-  
არებული და ის ოჯახიც ბედნიერად ითვლება, რომელსაც მამრობითი „ბინათი-  
ხიცაუს“ პატრონობს. მდედრობითი სქესის „ბინათიხიცაუს“ კი უარყოფით თვი-  
სებებს მიაწერენ. ის თითქოს ღამლამობით ოჯახს მოსვენებას არ აძლევს—ხმა-  
ურობს, კვნესის, რაღაცას არაკუნებს და სხვ. მსგავსი შეხედულებები მოწმდება  
სხვა კავკასიელი ხალხების თუ ტომების ეთნოგრაფიულ ყოფაში. მდედრობითი  
სქესის ღვთაებისადმი ამგვარი თვისებების მიწერა უკავშირდება ფართოდ გავრ-  
ცელებულ რელიგიურ ცრუ რწმენას, რომლის მიხედვით ქალი მავნე სულთა  
(„ეშმაკი“, „ქაჯი“) პლეადაშია მოქცეული.

დიასახლისი „ბინათიხიცაუს“ შესთხოვს ოჯახის წევრთა კეთილდღეობას.  
სათანადო წესს ასრულებს საქორწილო რიტუალის შესრულებასთან დაკავში-  
რებით, ბავშვის დაბადებისას, მიცვალებულის სულის შევედრების მიზნით, ილო-  
ცება ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე და ა. შ. განსაკუთრებული წესი სრუ-  
ლდება მის საბრძანებელ კუთხესთან ახალწლის ღამეს. დიასახლისი აცხობს რა  
სამ ქადას და ერთ ბოთლ არაყთან ერთად მიიტანს „ბინათიხიცაუს“ სამყოფ კუ-  
თხეში, დადებს პატარა თახჩაში, დაიჩოქებს და გაღიმებული სახით შეუდგება  
ლოცვას; შესთხოვს ბარაქიანობას, საქონლის მოსალოდნელი ზარალის თავი-  
დან აცილებას, სეტყვა-ზვავისა და ნიაღვრისაგან მოსალოდნელი უბედურები-  
საგან გადარჩენას, კარგ მოსავლიანობას, გამრავლებასა და ჯანმრთელობას... მო-  
თავდება რა ეს ცერემონია, დიასახლისი „ბინათიხიცაუს“ სახელზე გამზადებულ  
საჭმელ-სასმელს სამყოფოში გამოიტანს და მით ოჯახის წევრებს უმასპინძლდე-  
ბა. ამ ქალების შეჭმა და არაყის დაღვევა შეეძლოთ მხოლოდ ოჯახის წევრებს.  
მას გარეშე პირს არ შესთავაზებდნენ, ვინაიდან სჯეროდათ, რომ ამით „ბინათი-  
ხიცაუს“ გულისწყრომას დაიმსახურებდნენ და მთელი წლის განმავლობაში მხო-  
ლოდ ზარალსა და უსიამოვნო ცხოვრებას იგემებდნენ. რაკი ყველა თრუსოელი  
ამ წესს ასრულებდა და თანაც ყველა ოჯახში ეს ერთდროულად ხდებოდა, არ  
ჭქონდა ადგილი გარეშე პირის დასწრებას. მაგრამ შორიდან მოსული საპატიო  
სტუმარიც ასეთ შემთხვევაში ვერ გაეროდა „ბინათიხიცაუს“ სახელზე გამზა-  
დებულ პურ-მარილში და ის არც დაემდურებოდა აღნიშნული ჩვეულების თაყ-  
ვანისმცემელ ოჯახს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ხევში არსებული ზოგიერთი ძვე-  
ლი საოჯახო ჩვეულების თავისებურება. არა მარტო ახალწლის ღამეს, არამედ  
ყოველ ხუთშაბათს მოხევე დიასახლისი სახლის მფარველი ანგელოზის სახელ-  
ზე „გასტეხელს“ (ქადას) აცხობდა, სანთლებს ანთებდა და მას საქონლის მფარ-  
ველობასა და ოჯახის წევრთა კეთილდღეობას შესთხოვდა. ამ ქადას დიასახლისი  
მარტოდმარტო დაჭრიდა სენაში მდგარ საყველე კასრის თავზე და სათანადო  
ლოცვის შესრულების შემდეგ მხოლოდ თვითონ შეჭამდა. მისი შეჭმის უფლე-  
ბით ოჯახის არც ერთი სხვა წევრი არ სარგებლობდა.

როგორც ვხედავთ, ქადას გამოცხობა დიასახლისის მიერ „სახლის ანგელო-  
ზის“ სახელზე ხევშიც და თრუსოშიც სავალდებულო წესად ითვლება. მაგრამ  
განსხვავება იმაშია, რომ თრუსოში ეს წესი მხოლოდ ახალწლის ღამეს სრულ-

დღე  
ცხ  
სამ  
მსგ  
ბას  
იმდ  
ზის  
ფი  
ლო  
სულ  
მონ  
ჰკლ  
რც  
მიმდ  
ლა  
მოწ  
ყურ  
რად  
სოფ  
მომნ  
(ბედ  
მძივს  
როდ  
მას მ  
გველ  
განს  
და შ  
ლი ი  
ერთ  
ვსებ  
თუ ი  
მიუხე  
”  
მიაწერ  
კეთის  
მხოლო  
ატარე  
დევ შე  
წობდა,  
ხე ზრდ  
ნას მხი  
ოჯ  
ლება მ  
9.

დება და სამი ქადის გამოცხობაა სავალდებულო, ხოლო ხევში ყოველ ხუთშაბათს ცხება, ოღონდ მხოლოდ ერთი ცალი. განსხვავებულია მისი შექმნის ჩვეულებაც. სამაგიეროდ ოჯახის წევრთა მიერ ქადის შექმნის თრუსოულ ჩვეულებას ახლო მსგავსება აქვს ხევში ძველად მოქმედ მეორე წესთან, რაც თავის გამოხატულებას პოულობს შემდეგში: თუ მოხევე გრძნობდა, რომ „სახლის ანგელოზი“ მოიძღვრა, მისი კვლავ გადმობირების მიზნით ხატში დაკლავდა „სახლის ანგელოზის“ სახელზე „დასულდგმულებულ“ საკლავს. განსაკუთრებით მიღებული ყოფილა პირველად მშობიარე დეკეულის ხბოს „დასულდგმულება“ (შეთქმა), ხოლო თუ „სახლის ანგელოზის მიზეზი“ გამოუვიდოდა ოჯახს და საკლავის „დასულდგმულების“ საკითხი არ იდგა, ასეთ შემთხვევაში დეკეულის პირველად მონაგები ხბოს გაზრდა არ შეიძლებოდა. როგორც წესი, მას 12—14 დღისას კვლავდნენ და მხოლოდ ოჯახის წევრები ჭამდნენ. გარეშე პირისათვის მისი ხორცის მიროთმევას „სახლის ანგელოზის“ შიშით ვერ ბედავდნენ და ამ ჩვეულების მიმდევარ სტუმრად შესწრებულ მოხევეს ეს არც სწყინდა, რადგან ამ წესს ყველა მტკიცედ იცავდა თავის ოჯახში.

როგორც ვხედავთ, საკვლევი რაიონის საცხოვრებელ ნაგებობათა შიდა-მოწყობილობაში საკულტო მნიშვნელობის მქონე ადგილებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ხოლო „სახლის ანგელოზისადმი“ თაყვანისცემა მძლავრად იყო გაბატონებული თრუსოელთა ძველ საოჯახო ყოფაში.

შემოთქმულთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოებაც. თრუსოელთა ძველად სჯეროდათ, რომ სახლისა და ოჯახის კეთილდღეობის მომნიჭებელი იყო ე. წ. „ციკურაჲ ქარდიკ“, ანუ „ციკურთაჲ ქარდიკ“ (ბედნიერების ქვა). ხალხური გადმოცემით, თეთრად მბრწყინავ ასეთ ქვას ან მთივს ფლობდა შხამიანი გველი. გველი მას თითქოს პირით ატარებდა, ხოლო როდესაც რამდენიმე გველი ერთად შეიყრიდა თავს, ამ საგნით თამაშობდნენ. მას მალლა ისროდნენ და კვლავ პირით იჭერდნენ. ზოგიერთის წარმოდგენით კი გველს ის თავში ჰჭონდა და ასე დაატარებდა. ვინც ამ „სასწაულთმოქმედ“ საგანს ხელში ჩაიგდებდა, ის უბედნიერეს პირად ითვლებოდა, ხოლო მისი ოჯახი და შთამომავლობა ყოველგვარი მოსალოდნელი უსიამოვნებისაგან დაზღვეული იყო. თუ ვინმე ამას მიაღწევდა, აღნიშნულ საგანს შეინახავდნენ სენეს ერთ-ერთ კუთხეში ან კედელში, იმაში დარწმუნებულნი, რომ ოჯახი დოვლათით აივსებოდა. ასეთი რწმენით შთაგონებულნი ხშირად ამტკიცებდნენ, თითქოს ამა თუ იმ შეძლებული ოჯახის სიმდიდრის წყარო „ბედნიერების ქვა“ არისო, იმის მიუხედავად, გააჩნდათ ასეთი საგანი თუ არა.

„სასწაულთმოქმედ“ ქვას თუ მძივს თრუსოელნი ორ სხვადასხვა თვისებას მიაწერდნენ. თუ ერთ შემთხვევაში ეს ამულეტი ნატვრის თვალი და ყველა სიკეთის მომნიჭებელი იყო, მეორე შემთხვევაში შეიძლებოდა ოჯახისათვის მას მხოლოდ ზიანი მიეყენებინა. ამის გამოსარკვევად წინასწარ სათანადო გამოცდას ატარებდნენ. მას ჩადებდნენ ხის ქერქის შიგნით და ამ ხეს რამდენიმე ხნის შემდეგ შეამოწმებდნენ. თუ ხე ახალ ყლორტებს გამოისხამდა და ზრდას განაგრძობდა, აღნიშნული ნივთი ოჯახისათვის სასარგებლოდ ითვლებოდა, ხოლო თუ ხე ზრდას შეწყვეტდა და გახმებოდა, სასწაულთმოქმედი საგნის ოჯახში შეტანას მხოლოდ უბედურება და ზარალი შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ოჯახი ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული საგანი შეიძლება მათზე გამწყარალიყო და სახლიდან სხვაგან გაქცეულიყო, მას სათუთად

9. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული

ეპყრობოდნენ. ასეთ ექვში მყოფნი მას ბამბაში და აბრეშუმის ნაჭერში შეხვე-  
ულს ყუთში ინახავდნენ, ხოლო ამ ყუთს უფრო მოზრდილ ყუთში დგამდნენ. მაგ-  
რამ თუ ნატვრის თვალი გაქცევას მოიწადინებდა, ყუთები თითქოს მას წინააღ-  
მდეგობას ვერ გაუწევდნენ, ვერ დააკავებდნენ. ყუთში ჩადებული „სასწაულთ-  
მოქმედი“ ქვით თუ მივივითვე წინასწარმეტყველებდნენ მოსალოდნელ მდგომა-  
რეობას. ახალწლის ღამეს გახსნილ ყუთში თუ ის თეთრი ფერისავე დახვდებო-  
დათ, იმ წელიწადს ბედნიერად დაამთავრებდნენ, ხოლო თუ შავ ფერს მიიღებ-  
და, რწმუნდებოდნენ მოსალოდნელ უბედურებაში.

თრუსოში ძველად არსებული ასეთი რწმენა თავის მხრივ დაკავშირებულია  
რწმენასთან იმის შესახებ, რომ გველი სახლის ერთ-ერთ მფარველ ღვთაებად  
რითვლებოდა. თუმცა ჩვენ ადგილზე ვერ დავამოწმეთ, რომ აქაური ოსების მი-  
ერ გველი ოჯახის ანგელოზად იყოს აღიარებული, მაგრამ გველის პირიდან თუ  
თავიდან მოპოვებული საგნისადმი ზემოთ აღნიშნული თვისებების მიწერა თ-  
ვისთავად ამის მანიშნებელი ჩანს. აღსანიშნავია ისიც, რომ „სასწაულთმოქმე-  
დი“ ქვისადმი თაყვანისცემა კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული. საკუთ-  
რივ ოსურ მოსახლეობაში — ჩრდილო თუ სამხრეთ ოსეთის ეთნოგრაფიული  
შესწავლის საფუძველზე ეს ვითარება დადგენილი აქვთ კ. ხეთაგუროვს<sup>24</sup> და  
გ. ჩურსინს<sup>25</sup>, რაც ჩვენ მიერ უფრო გვიან შეკრებილი მასალის მხარდამჭერია.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ მავნე სულთაგან სახლის დაცვის მიზნით  
თრუსოელი ოსები შესასვლელ კარებზე აკრავდნენ დათვის კბილსა და ბრჭყალს,  
ღორის ტუჩს, რკინის ნაჭერს ან ნალს და ა. შ. ასეთსავე ხერხს მიმართავდნენ  
სახლის მშენებლობის დროს. მავნე სულებისა და ავი თვალის წინააღმდეგ სა-  
ძირკვლის ოთხსავე კუთხეში დებდნენ რკინის ნაჭრებს ან ლურსმნებს, ხოლო  
დოვლათის მომნიჭებელ ირაციონალურ საშუალებად მიიჩნევდნენ საძირკველ-  
შივე ჩატანებულ ვერცხლის მონეტებს. თრუსოს ხეობაში ეს ჩვეულება გადმო-  
წამების სახით დღესაც ცოცხლობს.

\* \* \*

როგორც ვხედავთ, საკვლევ რაიონში საცხოვრებელი სახლი მრავალმხრი-  
ვად საყურადღებო. იგი წარმოადგენს ეთნოგრაფის კვლევის საინტერესო ობი-  
ექტს არა მარტო როგორც საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი მნიშე-  
ნელობის მქონე კომპლექსური ნაგებობა, არამედ საინტერესოა იმ მხრივაც, რომ  
მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური მომენტები თუ რელიგიური  
რწმენა-წარმოდგენები. მისი შესწავლით ჩვენი დაინტერესება ნაკარნახევი იყო  
როგორც ამ თავისებურების ადგილზე დამოწმების თავისთავადი საჭიროებით,  
ისე და კიდევ უფრო მეტად იმით, რომ პარალელური მასალის დამუშავებით გა-  
ვეფართოვებინა ცენტრალური კავკასიონის ამ ერთ-ერთი საინტერესო რაიონის  
კვლევის არე და შედარებით სრული სურათი დაგვეხატა შესასწავლი საკით-  
ხის ირგვლივ. ეს საჭიროება იმითაცაა ნაკარნახევი, რომ ცენტრალურ კავკასი-  
ონში გავრცელებულ ნაგებობათა დიდ მსგავსებას და ზოგიერთ შემთხვევაში  
სრულ იგივეობასაც კი აქვს ადგილი. ამაში დარწმუნების მიზნით საკმარისია

<sup>24</sup> К. Хетагуров, *დასახ. ნაშრ.* 88-12.

<sup>25</sup> Г. Чурсин. Амулеты и талисманы кавказских народов. СМОПК, Махач-Кав-  
ла, 1929, 88-22-23.

კაცი  
ხეობ  
მელთ  
ლებლ  
მთაში  
ში უბ  
ნით.  
კუნეს  
ხელმ  
ქართ  
ხევრა  
ბუთებ  
ტები  
ქა  
გამოხა  
ოსეთშ  
ლი. ეს  
ნაგებო  
ნი, მეფ  
მარ მე  
ოსეთის  
ბმა, რ  
ბაში, ძ  
ობაში  
ლ. სემ  
სანაურ  
ტორია  
კავკასი  
ქართლ  
ლი<sup>30</sup>.  
აქვე  
დად XI  
26 Ис  
27 ვახ  
28 В.  
горцах, в  
ва, 1887,  
ков о Сев  
ев. Христ  
თბილისი,  
29 Л.  
Кавказа. М  
30 ვ. დ  
ტურული  
XV, № 2,

კაცი გაეცნოს მოხეურ საცხოვრებლებს და შეუდაროს ის არა მარტო თრუსოს ხეობაში არსებულ, არამედ ჩრდილო ოსეთის მთიანეთის ძველ ნაგებობებს, რომელთა შესახებ მოკლე აღწერილობები მოეპოვებათ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ ავტორებს (მილერი, ხეთაგუროვი, ჩურსინი და სხვ.).

ასეთი მსგავსება აიხსნება ერთ მხრივ იმით, რომ ქართველ მთიელებსა და მთაში მცხოვრებ ოსებს ერთნაირ ბუნებრივ გარემოსა და ეკონომიურ პირობებში უხდებოდათ ყოფნა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული კულტურის ზეგავლენით. ისტორიკოსები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ XII საუკუნემძღვანელოში პირდაპირ მითითებულთა, რომ მძლავრი ფეოდალური საქართველო დიდ კულტურულ ზეგავლენას ახდენს ახლად გაქრისტიანებულ, ნახევრად პატრიარქალურსა და ნახევრად ფეოდალურ ოსეთზე. ამის უტყუარ საბუთებად აღნიშნულ წიგნში აღიარებულია არსებული წერილობითი დოკუმენტები და მატერიალური კულტურის ძეგლები<sup>26</sup>.

ქართული კულტურის ზეგავლენა ოსეთზე სხვას გარდა თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდა ხუროთმოძღვრებაში. ვახუშტის დაკვირვებით, ოსეთში არსებული ძეგლები ძირითადად ქართულია, ქართველთაგან აშენებული. ეს პირველ რიგში ეხება ძველი დროის საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს: „ხოლო ძველადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს, იტყვიან თვთ იგინივე (ე. ი. ოსნი—ვ. ი.) თამარ მეფისაგან“<sup>27</sup>. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვებებია მოცემული ჩრდილო ოსეთის ნაგებობათა შესახებ<sup>28</sup>. მკვლევართა ყურადღება მიიქცია ისეთმა ძეგლებმა, როგორცაა ნუზალის ტაძარი მდ. არდონის ხეობაში, რექომი—ცეის ხეობაში, ძივგისის ტაძარი — ქურთაულის ხეობაში, ხოზიტა-მაირამი—ზრუგის ხეობაში და სხვა. ნუზალის, რექომის თუ ძივგისის ანალოგიურ ძეგლებად მიაჩნია ლ. სემიონოვს საქართველოს სამხედრო გზაზე, მთიულეთის სოფ. მლეთასა და ფასანაურს შორის არსებული ნაგებობანი<sup>29</sup>, ხოლო ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მდებარე ტაძარი ხოზიტა-მაირამი, როგორც ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი, შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისთვის ნიშანდობლივი თავისებურებებითაა აღჭურვილი<sup>30</sup>.

აქვე უნდა ითქვას, რომ ოსეთში ამგვარი ძეგლების გავრცელება ძირითადად XII—XIII საუკუნეებზე მოდის, როდესაც ქართველ მისიონერთა მოღვა-

<sup>26</sup> История Северо-Осетинской АССР. Москва, 1959, гл. 74—76.

<sup>27</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 111.

<sup>28</sup> В. П. Ф. а. ф. Материалы для истории Осетии. Сборник сведений о кавказских горцах, вып. V, 1871, гл. 33—35. Пр. Уварова. Кавказ, путевые заметки, I, Москва, 1887, гл. 40—41. М. Джанашивили. Известия грузинских летописцев и историков о Северном Кавказе и России. СМОМПК, т. XXII, 1897, гл. 43—44; А. Гатуков. Христианство в Осетии. Владикавказ, 1901, гл. 12; ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, თბილისი, 1913, გვ. 207—208.

<sup>29</sup> Л. Семенов. К вопросу о культурных связях Грузии и народов Северного Кавказа. Материалы и исследования по археологии СССР, вып. XXIII 1951, гл. 304.

<sup>30</sup> გ. დოლიძე, ხოზიტა-მაირამი—საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 2, თბილისი, 1954, გვ. 119.

წეობა იქ აქტიურ ხასიათს იღებს და ქრისტიანული რელიგიის მტკიცედ დანერგვის მიზნით შესაბამისი საეკლესიო ნაგებობების მშენებლობასაც საგანგებო მნიშვნელობა ეძლევა<sup>31</sup>.

„აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული არქიტექტურის ის ძეგლები, რომელთაც საქართველოს გავლენის მაჩვენებლად თვლიან, ოსეთის მთიან რაიონებზე მოდის, ველზე ისინი არ გვხვდება. ამის მიზეზი ისაა, რომ მტრის თარეშობის სიადვილემ ველზე ისინი დაუნდობლად გაანადგურა. ამითვე უნდა აიხსნას ის, რომ საქართველოს სამხედრო გზის ჩრდილოეთ ნაწილში ასეთი ძეგლები არ გვხვდება, მაშინ როცა ამ გზისაგან დაშორებულ ადგილებში ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. აღნიშნული გზა სამხედრო ღონისძიებათა მუდმივი ასპარეზი იყო.“<sup>32</sup>

საქართველო-ოსეთის კულტურული ურთიერთობის შესწავლისათვის თრუსოს ხეობა გარკვეული მნიშვნელობისაა. აქ შერწყმულადაა წარმოდგენილი ძველი და ახალი მოსახლეობის კულტურის ელემენტები. გზიდან მოშორებულ ამ მთიან კუთხეში შემონახულია ქართული საერო და საეკლესიო ნაგებობანი, აშენებული ოსების იქ დასახლებამდე თუ მათი დასახლების პროცესში. რაც შეეხება საცხოვრებელ ნაგებობებს, მათი მსგავსება მოხეურ საცხოვრებლებთან იმითაც ჩანს გამოწვეული, რომ მოსულმა ოსურმა მოსახლეობამ შეითვისა და თავიანთი ცხოვრების პირობებისათვის გამოიყენა სახლის ისეთი ფორმა, როგორც მას ხევში მცხოვრებ მოსახლეობაში დახვდა. სავარაუდებელია, რომ სწორედ ასეთივე ფორმის ნაგებობანი ჰქონდათ ამ ხეობაში ადრე მცხოვრებ დვალეებს, რომელთა ასიმილაცია მოხდა ოსების იქ ჩასახლებისა და მწვავე შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად.

В. Д. ИТОНИШВИЛИ

## ЖИЛЫЕ ПОСТРОЙКИ ТРУСОВСКОГО УЩЕЛЬЯ.

Резюме

Трусовское ущелье является одним из исторических уголков древней Двалети, населенное в настоящее время осетинами. В этом высокогорном районе еще до недавнего времени сохранялись оборонительные и сторожевые башни, культовые сооружения и жилые постройки «горного типа».



Из древних форм жилых построек здесь бытовали двухэтажные-террасобразные, трех-четырёхэтажные дома-крепости, и пристраиваемые к башням многоэтажные жилые и хозяйственные комплексы.

Для этих форм общим являются строительный материал (камень) и плоское перекрытие.

В этой связи, характерным является и то обстоятельство, что такого вида постройки служили главным образом, до начала XX века, жилищем для пережиточной формы семейной общины.



<sup>31</sup> А. Гагуев დასახ. ნაშრომი, გვ. 103—104.

<sup>32</sup> ვ. ი თ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1958, გვ. 242—243.





ბესო საპიევის სახლი სოფელ შავარდენში (მასშტაბი 1:50); სურ. 1. მთავარი ფასადი, სურ. 2. გვერდითი ფასადი.



\* ილუსტრაციები დაამზადა არქიტექტორმა ვაჟა გიგაშვილმა.





ბესო საბიევის სახლი სოფ. შვეარდენში (მასშტაბი 1:50); სურ. 1. კრილი 1—1.  
სურ. 2. კრილი 2—2.



ბესო საპიევის სახლი სოფ. შავარდენში (მასშტაბი 1:50); სურ. 1. პირველი სართულის გეგმა: 1) საცხენე, 2) საბერწე, საძროხე 4) საცხვრე. სურ. 2. მეორე სართულის გეგმა: 1) კიბე, 2) საცხენის ბანი; 3) აივანი, 4) თახჩები, 5) სენე, 6) განჯინა, 7) სამყოფო.







ივანე გუდიევის სახლი სოფ. ზემო ოქროყანაში (მასშტაბი 1: 50); სურ. 1. მთავარი ფასადი, სურ. 2. კრილი 1-1.







ივანე გულიევის სახლი სოფელ ზემო ოქროყანაში (მასშტაბი 1:50); სურ. 1. 830-  
რდითი ფასადი, სურ. 2. კრილი 2-2.



ტაბ. VI




ივანე გუდიევის სახლი სოფ. ზემო ოქროყანაში (მასშტაბი 1:50); სურ. 1. კრილი 3-3, სურ. 2. მესამე სართულის გეგმა: 1) დერეფანი, 2) შესასვლელი ოთახი, 3) სენე, 4) სასტუმრო ოთახი, 5) სამყოფო, 6) საწოლი ოთახი, 7) სარაეს ბანი.




ივანე გუდიევის სახლი სოფ. ზემო თქროყანაში (მასშტაბი 1:50); სურ. 1. პირველი სართულის გეგმა: 1) ბოსელი, 2) ბაგა, 3) კიბე, 4) სალორე, 5) ბოსელი, 6) საცხვრე, 7) ეზო.  
 სურ. 2. მეორე სართულის გეგმა: 1) კერა და საარაყე, 2) სენე, 3) თივის ჩასაყრელი ფრდოები, 4) სამყოფო, 5) ბოსლები, 6) სამყოფო, 7) სარაე, 8) ეზო.



სურ. 1. ციხე-კოშკზე მიდგმული სახლი სოფელ ზაკაგორში (მასშტაბი 1:50);  
სურ. 2. კოშკზე მიშენებული სახლი სოფელ ქეთრისში (მასშტაბი 1:50).



სურ. 1. კოკიევების სახლის ფასილი სოფელ ქეთრისში (მასშტაბი 1:50); სურ. 2. ქვის საღებველი (1/5 ნატურალური ზომისა); სურ. 3. ქვის საღებველი (1/5 ნატურალური ზომისა).



ბესო საბიევის სახლის გენგეგმა (მასშტაბი 1:400): 1. სახლი, 2. საპირფარეშო, 3. ეზო, 4. წყარო, 5. მეზობლის კარმიდამო, 6. სოფლის შარავზა, 7. საერობო, 8. სადენშელო (ტყავის საზელი ხელსაწყო), 9. კარტოფილის ნარგავები.

Существенное различие заключается в конструктивном отношении, а именно, в том, что дом-крепость, начиная с фундамента и до перекрытия является квадратным в плане сооружением, тогда, как эта особенность не характерна для терасообразных построек.

Многоэтажный дом, пристроенный к башне, характеризуется также своей спецификой. Пристройка его к башне уже сама по себе является характерной и специфичной для данного района.

В настоящее время наблюдается коренное различие между старыми и новыми формами жилых построек. Если с XIX века начинается переделка старых форм дома, то в настоящее время его облик совершенно изменен; место плоских крыш и узких окон-бойниц прочно заняли крытые железом или черепицей крыши, широкие окна и досчатые конструкции интерьера.

В связи с разделением в свое время большой семьи на малые, в домах переделанных из старых, наблюдается сегментация жилой площади.